კისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი პეტრე მაქსიმეს ძე უდენტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**131** ამხ. ბ. ვ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე ვასილის ძე ჩხაიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**132** ამხ. პ. ს. ჰანტურიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ემბრიოლოგიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პავლე სიოს ძე ჰანტურიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

### 133 ახს. ო. ი. ზილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი ოთარ ივანეს ძე ჭილაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

### 134 ახს. ჯ. ი. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონდო ივანეს ძე ჯაფარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

### 135 გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის და პირველი ნომრის გა-

მოსკვის 60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთი „სოვეტ გურჯისტანი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 18 აპრილი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**136** გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ალიევი ვალი ისა ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის განყოფილების გამგე.

ალიევი ისლამ ვაჯი ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

აივაზოვი შახვალად ალი ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ შტატგარეშე ფოტოკორესპონდენტი.

ანშედოვი კასუმ მუსტაფა ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ კორესპონდენტი.

გადიზადე არიფ ჰუსეინ ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის უფროსი კორექტორი.

ხაჯაროვა გუმბაი მუსლიმის ასული — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქციის მემანქანე.

ხულიემანოვი სულიმან მაჰამედ ოლი — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 18 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**137** ამხ. გ. ვ. გეგეჭკორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ვლადიშვილის ძე გეგეჭკორი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**138** ამხ. ტ. ი. საშვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ტარიელ იოველის ძე საყვარელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**139** ამხ. ვ. ი. ფანჯიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 20 აპრილი.





ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**140** ამხ. რ. ბ. ზვიზიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი საყოფიერო საზოგადოებრივი ძოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მკერალი ოევაზ ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 20 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**141** საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაიონის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონული გაზეთი „ივრის განთიადი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**142** საგარეჯოს რაიონული სტამბის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადის“ პირველი ნომრის გამოს-

ვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ათუაშვილი თინა ნიკოლოზის ასული — ლინოტიპისტი.

მეხაშიშვილი ნათელა გიორგის ასული — ამწყობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**143** ზესტაფონის ფაროშენადნობათა ქარხნის № 4 საამქროს აირგამწმენდ ნაგებობაზე ნაგებობათა კომპლექსის გრძელვადიანი განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ზესტაფონის ფაროშენადნობათა ქარხნის № 4 საამქროს აირგამწმენდ ნაგებობათა საექსპლუატაციოდ წარმატებით გადაცემისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

არაბიძე დავით ოთარის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „ზესტაფონმშენის“ მღებავი.

ბარბაქაძე აქვსენტი ლავრენტის ძე — საქთავარმონტაჟსპეცმშენის სამმართველო „მრეწვეკავშირმონტაჟის“ ქუთაისის უბნის მემონტაჟე.

ბეზიაშვილი ზურიკო აკაკის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „ზესტაფონმშენის“ მებეტონე.

ბერეკაშვილი ანზორ ალექსანდრეს ძე — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის“ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

ბრეგვაძე ბადრი ალექსანდრეს ძე — ზესტაფონის ფაროშენადნობათა ქარხნის № 4 საამქროს ზეინკალი.

გაფრინდაშვილი ვახტანგ იოსების ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის კომბინატის დირექტორი.

გიორგაძე კაკალო ბაგრატის ასული — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „ზესტაფონმშენის“ ტექნიკური განყოფილების უფროსი.

გოგხეძე მურთაზ ივანეს ძე — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის“ ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე.

**გორგოძე** მურმან ნიკოლოზის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ფოლადკონსტრუქციის“ ელექტროშემდუღებელი.

**გორგოძე** ოთარ გრიგოლის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „ფოლადკონსტრუქციის“ ბრიგადირი.

**გუნცაძე** გოდერძი ალექსანდრეს ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „ფოლადკონსტრუქციის“ უბნის უფროსი.

**გურგენიძე** ალექსანდრე ერმიგონის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი.

**გურგენიძე** თამაზ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო-სამმართველო „ზესტაფონმშენის“ ელექტროშემდუღებელი.

**ვარაზიშვილი** თენგიზ ნესტორის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროექტის მთავარი ინჟინერი.

**ვაშაძე** მამია არკადის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქმე-ქანმონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ზესტაფონის უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**კანდელაკი** ჯუმბერ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო-სამმართველო „ზესტაფონმშენის“ მებეტონე.

**კაპანაძე** ავთანდილ შოთას ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

**კაპანაძე** გიორგი გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

**კაპანაძე** გივი ბარნაბის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ფოლადკონსტრუქციის“ ელექტროშემდუღებელი.

**ლელიავევი** გიორგი ალექსის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქმეელექტრომონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტიორი.

**მაკარიძე** არჩილ ბენიამინის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი.

**მელდერი** ელენე ილიას ასული — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ოსტატი.

**მოდებაძე** ჯიმშერ გივის ძე — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ტრესტ „ცენტრმეტალურგმონტაჟის“ ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე.

**მოხონკო** ლუბოვ პავლეს ასული — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის ვაერთიანების კოშკური ამწეს მემანქანე.

**მუშლაძე** ბუხუტი პლატონის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინერი.

**ორლოვი** რომან ალისტრახის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის სამმართველო „მრეწველმართვის“ ქუთაისის უბნის უფროსი ინჟინერ-გამმართველბ.

**პეტრიჩენკო** ვიქტორ ლეონტის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ოსტატი.

**ტალახაძე** ნუგზარ დიმიტრის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე.

**ფესტვენძიძე** ალექსანდრე ვარლამის ძე — საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ფოლადკონსტრუქციის“ მთავარი ინჟინერი.

**ჭველიძე** გედევან ვიქტორის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე.

**შტიმანი** ალექსანდრე რომანის ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს უფროსის თანაშემწე.

**ჩინჩალაძე** რუბენ ალექსანდრეს ძე — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ტრესტ „ცენტრმეტალურგმონტაჟის“ ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

**ვანტურიძე** ბუდუ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს „ზესტაფონმშენის“ მებათქაშე.

**ვიღლაშვილი** იუზა ილიკოს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის სამშენებლო სამმართველო „ზესტაფონმშენის“ კალატოზი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 144 ამხ. ა. რ. აბრვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზური და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელიწადი დაკავშირებით საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი აზიზ რაშიდის ძე აგრაბა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 27 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 145 ამხ. ს. ფ. ტიმოფეევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ ვ. ი. ლენინის ძეგლის აღმართვის სამუშაოების მაღალი ხარისხისა და ვადამდე დასრულებისათვის უკრაინის სსრ სამხატვრო ფონდის კიევის შემოქმედებითი გაერთიანება „სუდოჟნიკის“ ქვის მხატვრულ ამომჭრელთა ბრიგადირი ამხ. სერგი ფროლის ძე ტიმოფეევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი, 1983 წლის 29 აპრილი.

## ბანყოფილება მისამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 18 აპრილს მიიღო დადგენილება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ.

აღინიშნა, რომ რეპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ვარკვეულ მუშაობას ეწევიან სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გადიდებასთან, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებასთან. საბჭოების სესიებზე, მათი აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად იხილავენ ხალხის კეთილდღეობის ამალღების, ფართო მოთხოვნილების საქონლის გამოშვებვებ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, ისმენენ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და დეპუტატთა ჯგუფების ანგარიშებს.

რესპუბლიკაში დასახულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის წინმსწრები ტემპი. XI ხუთწლედში გათვალისწინებულია დამატებით 800 მლნ მანეთის ამ საქონლის გამოშვება, ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოება და ნაწარმის ხარისხის ამაღლება.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაკრიტიკებული იყო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა, რომლებიც ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ტრადიციული ხალხური სარეწების გამოვლენისა და აღორძინებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის წერილს რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის“ 1983 წლის 20 მარტის ნომერში, და მხარს უჭერს რა მოძრაობას ფართო მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახალხო დეპუტატთა სიაოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ავალღებს:

— ყველგან მოაწყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ზემოაღნიშნული წერილის განხილვა და მათ ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების ძალ-ღონე მიმართონ სამომხმარებლო პროდუქციის გამოშვების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოების და ხარის-



ხის გაუმჯობესებისათვის, ამასთან საქონლის გამოშვების გასაზრდებლად სრულად გამოიყენონ საწარმოო ნარჩენები, მეორეული და ადგილობრივი რესურსები, გაშალონ მუშაობა თითოეული რეგიონისათვის ტრადიციული ხალხური სარეწების გამოვლენისა და აღორძინებისათვის;

— გააძლიერონ კონტროლი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საეგემო დავალებათა შესრულებისა და მისი ხარისხის ამაღლებისადმი, ამ მუშაობაში აქტიურად ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დებუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, დებუტატები და სახალხო კონტროლიორები;

— საქმიანობის ამ სფეროში იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებითა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების, რეკომენდაციებით, რომელმაც მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საკითხზე: „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობა და მისი გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახულ ამოცანათა მიხედვით“, და უფრო სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება, უფრო ფართოდ გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციის საქმეში.

რჩევა მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის საქონლის და ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიებს გააძლიერონ კონტროლი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობისადმი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების დარგში.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს და საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.



21 აპრილს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ანგარიშგაღებული ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლისათვის უკრაინის სსრ სახალხო დებუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის ზემოაღნიშნული დადგენილება დაუგზავნა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს

აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო კომიტეტების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

\*

\*

\*

1983 წლის 27 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სესიონი.

სესიონამ დიდი ყურადღება დაუთმო საკითხს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების ჩატარების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიუროს 1983 წლის 28 მარტის დადგენილებით ამა წლის სექტემბერში უნდა ჩატარდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შეუქმნად საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ამოცანათა განსახილველად. დადგენილებით ვათვალისწინებულა:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება — „რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში“ დაეჯავნათ კრების მონაწილეებს წინასწარ ვასაცნობად 1983 წლის ივლის-აგვისტოში:

შეიქმნას რვა სექცია საბჭოების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით; სექციების მუშაობის მსვლელობაში შემოსული წინადადებანი ვათვალისწინებულ იქნეს საბჭოების, მათი საშემსრულებლო-განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობის სრულყოფის შესახებ რეკომენდაციების შემუშავებისას;

კრების მონაწილეთათვის ორგანიზებულ იქნეს რიგი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის მოწინავე გამოცდილების ვაცნობა, აღმასკომების თავმჯდომარეთა შეხვედრები სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან; საწარმოების, დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დათვალეირება სპეციალური ვეგმით;

მასობრივი ინფორმაციის მეშვეობით რესპუბლიკის საბჭოების საქმიანობის, საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი ურთიერთმოქმედების, დეპუტატთა აქტიურობისა და ინიციატივის ზრდის, საბჭოების სასესიო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოების, დეპუტატთა სხვა ფორმირებებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის, საბჭოთა ორგანოების საშემსრულებლო-განმკარგულებელი საქმიანობის, საბჭოთა სახელმწიფო





აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხების ფართოდ გაშუქება და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

— ფართოდ გაშალონ რესპუბლიკური კრებისათვის მოსამზადებელი მუშაობა, წარმართონ იგი სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი საშემსრულებლო ორგანოების ორგანიზატორული და საკონტროლო საქმიანობის შემდგომ გასააქტიურებლად, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის ასამაღლებლად, ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების გასაღრმავებლად, საბჭოთა ორგანოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონების დაცვისა და განხორციელებისადმი კონტროლის ორგანიზაციის დასახეწად, საბჭოთა კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად;

— შეიმუშაონ რესპუბლიკური კრების მომზადებაში თითოეული საბჭოს, მისი აღმასკომის, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ფორმირებებისა და საბჭოთა აქტივის მონაწილეობის კონკრეტული გეგმა; მოაწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენების ფართოდ ვაცნობა და წინასწარი განხილვა ყველა დონის საბჭოების დეპუტატებთან, საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკებთან, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის სკოლებსა და დეპუტატთა სკოლებში, საბჭოების საზოგადოებრივ აქტივთან.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასაც.



პრეზიდიუმმა მოისმინა რა საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1983 წლის 22 მარტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, დაადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის მოხსენებითი ბარათი დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს და დაევალოთ მათ:

— ამაღლონ მომთხოვნელობა ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი მოქალაქეთა წერილებსა და ზეპირ მიმართვებზე მუშაობაში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობისათვის და მათში აღძრული საკითხების დროულად და სწორად გადასაწყვეტად;

— გულდასმით განიხილონ განმეორებითი და კოლექტიური განცხადებები და საჩივრები, ღრმად ჩასწვდნენ მათ წარმომშობ მიზეზებს;

— მოქალაქეთა მიღება ყველგან მოაწიოს მათთვის მოსახერხებელ დროს, ფართოდ დახერგონ პრაქტიკაში მშრომელთა მიღება შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უზრუნველყონ დეპუტატების სიერ მათი მიღება საარჩევნო ოლქებში;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აპარატებში საშემსრულებლო დისციპლინის გასტკიცებას, ამაღლონ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში; მკაცრად მოსთხოვონ პასუხი თანამდებობის პირთ, რომლებიც არღვევენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილ წესს, იჩენენ არაობიექტურობას, გაჭიანურებით და ფორმალურად იხილავენ მათ;

— ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

სხდომაზე აღინიშნა სახალხო დეპუტატთა ხაშურის, თეთრი წყაროს, საჩხერის, აბაშის, ლავოდნის, გარდაბნის, შულუკიძის, თელავის, ქარელის, მაიაკოვსკის და დუშეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების არაადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ მიმართულებით.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებსაც.

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ო. კობახიას, თბილისის კიროვის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. კანდელაკისა და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. გ. ჩემბერჯიანის ინფორმაციები შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. ნ. დავითაშვილის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. გ. გ. ლეჟავას და თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუ-

ტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ ზ. ს. ზადიკაშვილის ინფორმაციები საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიისათვის მზადებასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაციის შესახებ, 1982 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მისამართით გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციის მდგომარეობის თაობაზე, საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემის მდგომარეობის შესახებ, „საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღრნისძიებათა თაობაზე და სხვ.